09 SEPTEMBRIE
RUGĂCIUNEA
SF.PĂRINŢI IOACHIM ŞI ANA

ლოცვა

ჰოი, მარადის დიდებულნო ქრისტეს მართალნო, წმიდანო იოაკიმ და ანა, მდგომარენო წინაშე დიდებულისა მეუფისა ზეციურისა საყდრისა და მრავლისა კადნიერებისა მისდამი მქონებელნო, ვინათგან ყოვლადკურთხეულისა ასულისა თქუენისაგან ყოვლადწმიდისა და მარადის ქალწულისა მარიამისაგან ხორც-შესხმაჲ კეთილინება, თქვენდამო, ვითარცა მრავალღონეთა შუამდგომელთა და გულსმოდგინედ ჩუენთვის მვედრებელთა, მოვისწრაფით ჩუენ, ცოდვილნი და უღირსნი. ლმობიერ-ჰყავთ სახიერებაჲ მისი, რათა გვაშოროს რისხვაჲ თჳსი, საქმეთა ჩუენთათვის სამართალად ჩუენზედა მომავალი, და აურაცხელთა შეცოდებათა ჩუენთა უგულებელს-მყოფელმან, დაგვადგინოს ჩუენ გზასა ზედა სინანულისასა და ალაგთა მცნებათა თჳსთათა დაგვამკვიდროს ჩუენ. ეგრეთვე ლოცვითა თქუენითა სოფელსა ამას შინა ცხორებაჲ ჩუენი დაიცვენით და ყოველთა კეთილთა შინა კეთილი მოსწრაფებაჲ ითხოვეთ, ყოველივეს ცხორებისა და ღმრთისმოსაობისათვის სახმარსა ღმრთისა მიერ მოგუცემდით, ყოველთა განსაცდელთა და ჭირთაგან და სიკუდილისაგან ამაოჲსა შუამდგომელობითა თქუენითა გამოგვიხსნიდით და ყოველთა ხილულთა და უხილავთა მტერთაგან დაგვიცევდით, რათა მყუდროებითა და

უშფოთველითა ცხორებითა ვსცხოვრობდეთ ყოველსა ღმრთისმსახურებასა და სიწმინდესა შინა, და ესრეთ საწუთროჲსა ცხორებისაგან წარმავალნი, საუკუნოსა ცხორებასა მივიწივნეთ, სადაცა ლოცვითა თქუენითა წმიდითა ღირს-ვიქმნეთ ზეციურსა სასუფეველსა ქრისტეს ღმრთისა ჩუენისასა, რომელსა ჰშუენის ყოველი დიდება, პატივი და თაყუანის-ცემა თანა მამით და ყოვლადწმიდა სულითურთ საუკუნეთა უკუნისამდე. ამინ.